ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №713966

ნომერი: AR1132824

თარიღი : 20.05.2013

გაცემის თარიღი : 03.06.2013

გაცნობის თარიღი : 03.06.2013

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

უნივერსიტეტის ქ.#5;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ისმაილი ხატიაშვილი პ/ნ 01005013965
- თბილისი ლარსის შეს. N 5 ბ. 33

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- განაშენიანების რეგულირების გეგმა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

2013 წლის 20 მაისის #AR1132824 განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმებას, გაცნობებთ შემდეგს, პროექტის შესათანხმებლად ატვირთულ დოკუმენტაცია არასრულყოფილია; გთხოვთ წარმოადგინოთ განაშენიანების რეგულირების გეგმის სრულყოფილი პროექტი:

1) ალბომის თავფურცელი დასათაურებით (მრავალფუნქციური კომპლექსი (საზოგადოებრივი, საცხოვრებელი, დასასვენებელი, სავაჭრო და ა.შ);
2) განმარტებითი ბარათი ჩასატარებელი სამუშაოების დეტალური აღწერით (ხელმოწერილი არქიტექტორის მიერ);
3) სრულყოფილი უფლებრივი ზონირების რუკა (სექტორების, ტექნიკურ ეკონომიკურ მაჩვენებლებში საერთო ფართების, ზომების, ფუნქციური ზონის განმარტების, კოეფიციენტების და სხვა დეტალების ჩვენებით) ყველა შემადგენელი ნახაზით;
4) უფლებრივი ზონირების რუკაზე დასაფიქსირებელია შესაბამისი შტამპი: შეთანხმებულია ქ. თბილისის მერიის სსიპ არქიტექტურის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი – მ. კუნელაური;
5) დენდროლოგიური სქემა;
6) ხის მოჭრის ან გადარგვის აუცილებლობის შემთხვევაში აღებული იქნეს შესაბამისი ნებართვა ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიის და გამწვანების საქალაქო სამსახურიდან (ხე–ნარგავების არსებობის შემთხვევაში);
7) კომუნიკაციებთან სამშენებლო ნორმების დაცვის შესახებ ცნობები შესაბამისი სამსახურებიდან (კომუნიკაციების არსებობის შემთხვევაში);
8) სატრანსპორტო სქემა (ზომების მითითებით);

დოკუმენტაცია შეგიძლიათ ატვირთოთ დახარვეზებულ ველში ან დამატებითი მოთხოვნის ველში;

განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის მომზადებისთვის განკუთვნილი ვადა განისაზღვრება 30 სამუშაო დღით. განცხადება სამსახურში შემოსულია 2013 წლის 20 მაისს, საკითხის განსახილველად სამსახურმა გამოიყენა 11 სამუშაო დღე. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის შესაბამისად თქვენ გეძლევათ განაცხადის გამოგზავნიდან 15 დღიანი ვადა მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოსადგენად, რომლის შემდეგ სამსახურს დარჩენილი აქვს 19 სამუშაო დღე. თუ სამსახურის მიერ დანიშნულ ვადაში არ იქნება წარმოდგენილი მოთხოვნილი დოკუმენტაცია, საკითხი დარჩეს განუხილველი.

ამასთან, გაცნობებთ, რომ ახალი განაცხადის წარმოდგენამდე ადმინისტრაციული წარმოების ვადის დინება არის შეჩერებული და განახლდება ხსენებული განაცხადის წარმოდგენის შემდგომ.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.